



სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	04/11/2022	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	კი არა	სხვა დამსწრეები : კი არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	არა	აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები			

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. I ლიგის V ტურის მატჩის, მარნეულის „არმაზი“ - სამცხე ჯავახეთის „ტაო“, ვიდეომასალა.
2. I ლიგის V ტურის მატჩის, მარნეულის „არმაზი“-სა - სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის, მატჩის ოქმი.
3. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის, წითელი ბარათის ოქმები.

დამრღვევის/წარმომადგენლის განცხადება

4. სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს წარმომადგენლები, ალექსანდრე ესაკია და ირაკლი გვენეტაძე, დაეთანხმნენ მსაჯის გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ, მათი თქმით შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელი იყო თამაშის გაგრძელება მონაწილეთა უსაფრთხოების არ არსებობის გამო.
5. მარნეულის „არმაზი“-ს წარმომადგენლები, გიორგი სოსელია და ზურა პინაიშვილი, დაეთანხმნენ მსაჯის გადაწყვეტილებას თამაშის შეწყვეტის შესახებ, მათი თქმით შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელი იყო თამაშის გაგრძელება მონაწილეთა უსაფრთხოების არ არსებობის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობა

1. 30/10/2022 გაიმართა I ლიგის V ტურის მატჩი მარნეულის „არმაზი“-სა სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს შორის. თამაშის მე-14 წუთზე წარმოქმნილი ფიზიკური დაპირისპირება მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეებს შორის გადაიზარდა გუნდურ ფიზიკურ დაპირისპირებაში, რომელშიც ჩაერთვნენ ორივე გუნდის როგორც მინდორზე მყოფი ასევე



სათადარიგო მოთამაშეები და სტადიონზე მყოფი გულშემატკივრები. წარმოქმნილი სიტუაციიდან გამომდინარე და თამაშის მონაწილე პირების უსაფრთხოების დაცვის არ არსებობის გამო, მატჩის მსაჯმა, საბა მახარაძემ, კიდის მსაჯებთან ერთად მიიღო თამაშის შეწყვეტის გადაწყვეტილება.

2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის, წითელი ბარათის ოქმების მიხედვით(ციტირება) - „არმაზის“ სტადიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ არის სრულად შემოსაზღვრული მოედანი ჯებირებით, ამის გამო ჩხუბში ჩაერთვნენ გულშემატკივრები და შეცვლაზე მყოფი მოთამაშეები. გუნდური ჩხუბი გაგრძელდა დაახლოებით 3-4 წუთის განმავლობაში...სიტუაციიდან გამომდინარე, მსაჯებმა მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ გარემოში რაგბის თამაში შეუძლებელი იყო და ჩავშალეთ თამაში.
3. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალის მიხედვით - სათამაშო მოედანზე წარმოქმნილ ფიზიკურ დაპირისპირებაში ჩაერთვნენ ორივე მონაწილე გუნდის როგორც სათადარიგო და გუნდის სხვა მოთამაშეები, ასევე გულშემატკივრები.
4. მარნეულის „არმაზმა“, როგორც მასპინძელმა გუნდმა, ვერ უზრუნველყო საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული კაცთა, ქალთა და ჭაბუკთა შეჯიბრებების ჩატარების შესახებ დებულების 7.3.3. პუნქტი - „ სტადიონის დაცვასთან ერთობლივად, უზრუნველყოს მატჩის მონაწილეთა უსაფრთხოება (კერძოდ - სათამაშო პერიმეტრის, მატჩში მონაწილე პირების გადაადგილების ზონის და გასახდელების დაცვა)“.

სადისციპლინო კომისიამ მხარეთა მოსმენის, ფაქტობრივი მოცემულობების და მხარეთა დახმარებით კონფლიქტში მონაწილე პირების იდენტიფიცირების შემდეგ დაადგინა, რომ ზემოაღნიშნულ ინციდენტში და მატჩის ოფიციალურ პირთა მიერ თამაშის შეწყვეტის მართებულ გადაწყვეტილებაში გამოიკვეთა კონფლიქტის მონაწილე ორივე გუნდის მოთამაშეთა, წარმომადგენლებისა და გულშემატკივრების ბრალეულობა, რომელიც გახდა ძირითადი მიზეზი თამაშის შეწყვეტისა.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი # 3-თ, კერძოდ :

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია დანართი # 3 სანქციები ჩაშლილი/შეწყვეტილი მატჩის შემთხვევაში

1.3 ერთერთი ან ორივე გუნდების წარმომადგენლების ან გულშემატკივრების მიერ რეგულარული ან სერიოზული ქცევის კოდექსის დარღვევა ან არამართებული ქცევა, გახდა საფუძველი მატჩის ჩაშლისა/შეწყვეტისა და მსაჯის მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება იყო მართებული არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისია, მატჩში მონაწილე გუნდების შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ადგენს სანქციებს, რომლებიც შეესაბამება ერთერთ ან ორივე გუნდს.

სანქციები მოიცავს, (და არ არის ლიმიტირებული), შემდეგს :



გ) გამოაცხადოს მატჩის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში საბოლოოდ ან ორივე გუნდის ბრალეულობის დადგენის შემთხვევაში გამოაცხადოს მატჩი არშემდგარად და გააბათილოს ანგარიში;

და მიიღოს შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. გაბათილდეს, მარნეულის „არმაზი“-სა და სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს 2022 წლის 30 ოქტომბერს გამართული თამაშის შეწყვეტისას დაფიქსირებული ანგარიში.
2. მარნეულის „არმაზს“ სატურნირო ცხრილში ჩაეწეროს ნოლი ქულა.
3. სამცხე ჯავახეთის „ტაო“-ს სატურნირო ცხრილში ჩაეწეროს ნოლი ქულა.
4. მარნეულის „არმაზი“-ს საშინაო სტადიონზე (თბილისი, ვაზისუბნის სტადიონი) 2023 წლის 1 იანვრამდე აიკრძალოს მყურებლების დაშვება მარნეულის „არმაზი“-ს თამაშებისას ნებისმიერ დონეზე.

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი 	თარიღი	07/11/2022
--------------------------	--	--------	------------

- გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო საბჭოში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.